MES 1 20 0000881557

23/09/2020

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2020 წლის 9 სექტემბერს.**

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნუგზარ სხირტლაძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, - სხდომის თავმჯდომარე;
თამარ ლაღიძე - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი - საბჭოს მდივანი;
დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
ნინო ინასარიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“ და სამაგისტრო პროგრამის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები“ ხელმძღვანელი;
მაია მანწკავა - სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ - ანალიტიკური სერვისების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი;
მორისი შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო - კვლევითიინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;

თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
ირმა ჭანტურია - შპს „ღვინის ლაბორატორიის“ დირექტორი;
ირაკლი კოხრეიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე - რექტორი, ონკოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ლალი გიორგიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ანა გვრიტიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. **შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმი:**

მარიამ მესხიშვილი-ეფაძე - რექტორი;
დევი ხვდელიანი - ვიცე-რექტორი;
ზვიად მურადაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ზურაბ ლობჟანიძე - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
ნატალია ბარათელი - რექტორის მრჩეველი;
ამირან გიგუაშვილი - იურისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

გოდერძი ბუჩაშვილი;
ლარისა პატარაია;
დავით ტეფნაძე;
ირმა მანჯავიძე.

სხვა დამსწრე პირები:
ნინო გულიაშვილი - სტენოგრაფისტი.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:02 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნუგზარ სხირტლაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს უმაღლეს სასწავლებელ მილენიუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. შპს უმაღლეს სასწავლებელ მილენიუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ვიზიტის შედეგად შედგენილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ დასკვნას და შესაბამის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი მონიტორინგზე იმყოფებოდა უმაღლეს სასწავლებელ მილენიუმში 2020 წლის 30-31 ივლისს, სადაც მასთან ერთად იყვნენ: ირმა მანჯავიძე, ლარისა პატარაია და დავით ტეფნაძე. ვიზიტი ჩატარდა დღის წესრიგის მიხედვით, მათ ჰქონდათ ჩართვები ზოგიერთ სტუდენტთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან. ვიზიტი განხორციელდა „ჰიბრიდულ“ რეჟიმში. ვიზიტის მიზანი იყო წინა ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმება. აღნიშნული რეკომენდაციების შესასრულებლად დაწესებულებას ჰქონდა 60 დღიანი ვადა, ისინი ძირითადად ეხებოდა 2.1, 2.2, 3.3, 5.1 და 5.2 სტანდარტის კომპონენტებს. ექსპერტებმა აღწერეს ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც დაწესებულებაში დახვდათ, ამასთან დაკავშირებით ჰქონდათ თავისი შეფასება და ზოგიერთი მათგანი ჩამოყალიბდა რეკომენდაციებადაც კი.

1.1 სტანდარტის კომპონენტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები:

- აუცილებელია, დაზუსტდეს დაწესებულების სახელწოდება, რათა დაზუსტდეს საგანმანათლებლო დაწესებულების რომელ სახეს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ სახელწოდება არ იყოს დამაბნეველი; - ვებგვერდზე შეცვლილია უსდ-ს სახელი „მილენიუმ უმაღლესი სასწავლებელი“; პარტნიორთა კრების ოქმი არსებობს სახელის ცვლილებაზე; სოციალურ ქსელში უსდ პოზიციონირებს, როგორც „მილენიუმ უნივერსიტეტი“ სამეწარმეო რეესტრში ცვლილება სახელწოდებასთან დაკავშირებით არ არის რეგისტრირებული. შესაბამისად, რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებული იყო;
- აუცილებელია, დაწესებულების საქმისწარმოების სამსახურში საქმისწარმოების პროცესების გამართვა და მონიტორინგის მექანიზმის შემოღება, რათა უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დროულად და ზუსტად აისახოს დაწესებულების ინფორმაცია, მაგ. აქტიური სტატუსისა და სტატუსშეჩერებული

სტუდენტების შესახებ ინფორმაცია; - შექმნილია დოკუმენტები საქმისწარმოების პროცესების გამართვის ხელშეწყობის მიზნით, თუმცა ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა, რომ დარღვეული იყო საქმისწარმოების წესი, ბაზაში დროულად არ იყო ასახული ინფორმაცია; QMS ბაზაში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებით ინფორმაცია არ იყო სწორი, უნივერსიტეტს შესაბამისი მონიტორინგის მექანიზმი არ ჰქონდა, რაც ხელს უშლიდა საქმისწარმოების გამართულად მუშაობას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით ერთ-ერთი ბრძანება, რომელიც დაწესებულებას ჰქონდა გამოცემული ჟურნალში არ იყო ასახული, აქედან გამომდინარე ის რეკომენდაცია, რომელსაც წინა ექსპერტები გულისხმობდნენ, არ იყო შესრულებული, თუმცა იყო მცდელობა და ჩაითვალა, როგორც ნაწილობრივ შესრულებული;

2.2 სტანდარტის კომპონენტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები:

- აუცილებელია, ხარისხის სამსახურმა ეფექტური მექანიზმებით უზრუნველყოს დაწესებულების ყველა სტრუქტურული ერთეულის და აკადემიური/მოწვეული პერსონალის უფრო აქტიურად ჩართვა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში, ხარისხის კულტურის გასავითარებლად; - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს შეახსენა, რომ დაწესებულებას ჰქონდა 60 დღიანი ვადა და ამ პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის განვითარების კუთხით ვერ ისაუბრებდა, რადგან ამას წლები სჭირდებოდა, თუმცა აღნიშნა, რომ პროცესის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი იყო ფოკუს ჯგუფების ჩატარება, შესაბამისად არსებითი ცვლილებები არ იყო განხორციელებული; დაწესებულებას შემუშავებული ქონდა სხვადასხვა დოკუმენტი, რომლის ამუშავების შემთხვევაშიც წესით უნდა გაუმჯოესებულიყო პროცესი, თუმცა ინტერვიუებიდან გამოვლინდა, რომ ეს რეკომენდაცია არ იყო შესრულებული, ანუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აღწერა მიმდინარე მდგომარეობა და ამ კუთხით დაგეგმა აქტივობები, თუმცა შესრულება არ გამოკვეთილა, შესაბამისად მონიშული იყო ნაწილობრივ შესრულებული;
- აუცილებელია სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული შეფასების ფორმების ზედმიწევნით შესაბამისობაში მოყვანა რეალურ საგამოცდო პროცესთან; ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღიშნა, რომ სწავლების ელექტრონულ ფორმაზე გადასვლის შემდეგ, მიმდინარე პანდემიით გამოწვეული ცვლილებების გამო შეიცვალა შეფასების ფორმები - შუალედური შეფასება 40, ფინალური - 60 ქულა. შესაბამისად მოდიფიცირდა დავალებების, შუალედური და ფინალური გამოცდის სირთულე. რაც დასტურდებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ და ადგილზე ნანახ დავალებებში, შესაბამისად, მონიშნული იყო, როგორც შესრულებული;
- აუცილებელია სტუდენტური გამოკითხვების სტიმულირება და გააქტიურება (გამოკითხვა ელექტრონულად მიმდინარეობს), რათა სტუდენტების მთელი კონტინგენტი ჩართული იყოს პროცესში; - როგორც ინტერვიუებიდან გამოჩნდა, ამ პროცესის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი იყო ფოკუს ჯგუფების ჩატარება, თუმცა რეალური ცვლილებები არ იყო სახეზე, შესაბამისად, მონიშნული იყო, როგორც ნაწილობრივ შესრულებული;
- აუცილებელია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულ რეჟიმში ამოწმებდეს სასწავლო კურსებში მითითებულ საკონტაქტო ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად აახლებდეს მას; - სილაბუსებში არ იყო განახლებული ინფორმაცია, რიგ შემთხვევებში საგანს კითხულობდა სხვა ადამიანი, ხოლო სილაბუსში მითითებული ავტორი სხვა იყო, ზოგიერთ შემთხვევაში სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურა იყო რუსულ ენაზე, თუმცა აღნიშნულ სასწავლო კურსებს არ გააჩნდათ შესაბამისი წინაპირობა, შესაბამისად ნაწილობრივ შესრულებულად იყო მონიშნული;

3.3 სტანდარტის კომპონენტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის ადეკვატური შეფასება თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით; ნაწილობრივ შესრულებული იყო. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსხურმა ფაკულტეტის დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად გადახედა სასწავლო პროგრამებს და მოახდინა სათანადო რეაგირება. პრაქტიკული შედეგები, ექსპერტთა ვიზიტის დროს ვერ იქნა შეფასებული, ვინაიდან 2020 წლის 14 ივლისს ჩატარდა ხარისხის სამსხურის მიერ ორგანიზებული შეხვედრა ფაკულტეტის დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან. შემუშავებული იქნა რეკომენდაციები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით;
- დაწესებულებამ უნდა დაიცვას თავის მიერ შემუშავებული და დაინტერესებული მხარეების მიერ გაზიარებული შეფასების პროცედურები (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, გამოცდების ჩატარების წესი, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების კომპონენტები და ფორმები); - უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დაგეგმვა მიმდინარეობდა „სასწავლო პროცესიის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად განსაზღვრულია სასწავლო კომპონენტები და ქულათა განაწილება, როგორც ჩვეულებრივი სასწავლო პროცესის, ასევე დისტანციური სწავლების დროს. (ეს უკანასკნელი დარეგულირებულია ცალკე დოკუმენტით „გამოცდის ჩატარების ინსტრუქცია“). მარეგულირებელი დოკუმენტის შესახებ ინფორმაციას ფლობდა, როგორც პერსონალი ასევე სტუდენტები, რაც დადასტურდა ინტერვიუს დროსაც. რეკომენდაცია მონიშნულია შესრულებულად.
- შეფასებისა და აპელაციის წესები უნდა იყოს ქმედითი და გამოყენებადი; - "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" განსაზღვრული იყო გასაჩივრების პროცედურებიც. შუალედური/დასკვნითი ძირითადი და დამატებითი გამოცდების შედეგების აპელაციის მიზნით, რექტორის აქტით მტკიცდებოდა მუდმივმოქმედი სააპელაციო კომისია. ხოლო „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციაში“ მუხლი 6. საგამოცდო ნაშრომის გაცნობა და გასაჩივრება - ჩამოყალიბებული იყო გასაჩივრების პროცედურები. აღნიშნული წესის შესახებ სტუდენტები ფლობდნენ ინფორმაციას, თუმცა მათ ეს პროცედურა არ გამოუყენებიათ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თქვა, რომ დეკანმა და ინფორმაციული მართვის ხელმძღვანელმა აღნიშნეს ორი შემთხვევა, როცა ტექნიკური მიზეზის გამო აპელაცია დაკმაყოფილდა. (ქულა არასწორად იყო შეტანილი სტუდენტთა შეფასების სიტემაში). ექსპერტებს მოცემული რეკომენდაცია შესრულებულად ჰქონდათ ჩათვლილი;
- სასწავლო კურსის სილაბუსები უნდა იყოს შემუშავებული მათი განმახორციელებლების მიერ და მითითებული რეკვიზიტები უნდა აძლევდნენ სტუდენტებს უკუკავშირის შესაძლებლობას; - გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების სილაბუსები კიდევ ერთხელ გადახედვას მოითხოვდა. საერთაშორისო ბიზნესის სილაბუსის შემოწმების დროს გამოვლინდა, რომ სასწავლო კურსში მითითებული ლექტორის სახელი და გვარი არ ემთხვეოდა რეალურად განმახორციელებელ პირს. შესაბამისად რეკომენდაცია ჩაითვალა, როგორც არ არის შესრულებული;
- ხარისხის სამსახურის ფუნქცია შეფასებებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით შეფასების სილაბუსის მოთხოვნებთან შესაბამისობის ასპექტით, უნდა იყოს ქმედითი და არა ფორმალური; - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაატარა ღონისძიებები, თუმცა შედეგები ჯერ ვერ შეფასდა. ასევე ვერ შეფასდა ქმედითობის საკითხი მონიტორინგისთვის დადგენილი

60 დღიანი პერიოდის განმავლობაში, ამასთან, აღნიშნული პერიოდი დაემთხვა პანდემიის პერიოდს და სწავლება დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა. მნიშვნელოვანი იყო, რომ ხარისხის სამსახური თავის მუშაობაში ითვალისწინებდა PDCA პრინციპს და პირველი მონიტორინგიდან მხოლოდ 6 თვის შემდეგ გახდა შესაძლებელი დაეგეგმათ ცვლილებები, შესაბამისად, რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად იყო მიჩნეული;

- გამოცდის შედეგები მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, გონივრული ვადით, უნდა იყოს შენახული; ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წინა მონიტორინგის რეკომენდაციების შესაბამისად უსდ-ს მიერ შემუშავებულ „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციაში განხორციელდა შესაბამისი ცვლილება, მეხუთე მუხლში „საგამოცდო ნაშრომის გასწორება“ - დაემატა მეორე პუნქტი „ფაკულტეტი ვალდებულია საგამოცდო ნაშრომები შეინახოს 3 წლის ვადით”. თუმცა ვიზიტისას ექსპერტებმა ადგილზე ვერ ნახეს სტუდენტთა ნაშრომები ქართულ ენაში, ვინაიდან გამოცდის ჩატარების ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანამდე ნაშრომებს არ ინახავდნენ, ხოლო, როგორც ინტერვუებიდან გაირკვა, შემდგომ პერიოდში წერილობითი ნაშრომები სტუდენტებს არ შეუსრულებიათ. დამატებით მოწოდებული იქნა მხოლოდ ქართულ ენაში ტესტების ნიმუშები. რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად იქნა მიჩნეული;

5.1 სტანდარტის კომპონენტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები:

- განახლდეს სასწავლო დაწესებულების ვებგვერდი და მასზე განთავსდეს „მილენიუმი სასწავლო უნივერსიტეტის“ მარეგულირებელი დოკუმენტები; გოდერძი ბუჩაშილმა აღნიშნა, რომ განახლებული იყო ვებგვერდი, შესწორებული იყო ინსტიტუციის სახელწოდებაც, მაგრამ ვებგვერდის ინგლისურენოვანი ნაწილი არ იყო დასრულებული, შესაბამისად რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად იქნა მიჩნეული;
- მიეცეთ სტუდენტებს საშუალება გადაიხადონ სწავლის საფასური კრედიტების/საგნების შესაბამისად; - ჩაითვალა, როგორც არ იყო შესრულებული;
- ქართულ ენოვან პროგრამებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დაწესდეს ქართული ენის კომპეტენციის შესამოწმებელი გამოცდა - ჩაითვალა, როგორც არ იყო შესრულებული;

5.2 სტანდარტის კომპონენტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები:

- სტუდენტური თვითმმართველობა უნდა იყოს უფრო მეტად აქტიური და ცნობადი დაწესებულებაში; - რეკომენდაცია შესრულებულად იქნა მიჩნეული, რადგან სტუდენტებთან გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ ისინი ინფორმირებული იყვნენ სტუდენტური თვითმმართვეობის შესახებ.
- უსდ-ში უნდ არსებობდეს კარიერული წინსვლისა და დასაქმების სამსახური; - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია შესრულებული იყო.
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტების დასაქმების სტატისტიკური მონაცემების მოპოვება და დამუშავება; - ნაწილობრივ შესრულებული იყო, რადგან გოდერძი ბუჩაშვილის განმარტებით, მიმდინარეობდა მონაცემების მოპოვება და დამუშავება. იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებას ჰქონდა წინსვლა ამ მიმართულებით რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად იქნა ჩათვლილი;

ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

- განახლდეს და რეალობასთან შესაბამისობაში მოვიდეს შრომითი ხელშეკრულებები - რადგან ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, შრომითი ხელშეკრულებების განახლება უნდა მომხდარიყო ყოველსემესტრულად;
- დაზუსტდეს აკადემიური პერსონალის ბაზა - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, ინტერვიუების ჩატარებისას, ბაზაში იყვნენ ისეთი პროფესორებიც, რომელებიც არ კითხულობდნენ ლექციებს აღნიშნულ უნივერსიტეტში;
- ინფორმაცია მიეწოდოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შრომითი თანამშრომლობის ფორმის შესახებ - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თქვა, რომ უნდა ყოფილიყო მუდმივი კავშირი უნივერსიტესა და აკადემიურ პერსონალს შორის, ისინი უნდა ფლობდნენ ინფორმაციას, რა პირობებით იყვნენ დასაქმებულნი;
- სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურა უნდა ყოფილიყო იმ ენაზე, რა ენაზეც იყო პროგრამა;
- სილაბუსებში საკონტაქტო ინფორმაცია არ ემთხვეოდა იმას, თუ რეალურად ვინ კითხულობდა ამ საგანს და შესაბამისად რეკომენდირებული იყო გასწორებულიყო საკონტაქტო ინფორმაცია - რისი საჭიროებაც გამოიკვეთა, რადგან სტუდენტს შეიძლება გაჩენოდათ საკონსულტაციო კითხვა და საჭირო ყოფილიყო პროფესორთან დაკავშირება;
- უზრუნველყონ ხარისხის გაუმჯობესების შიდა მექანიზმების დანერგვა PDCA ციკლის ყველა ეტაპზე ანგარიშების მომზადების და პერიოდული განხილვის გზით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან შეხვედრების გზით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ დაგეგმილიც ჰქონდათ, თუმცა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეოდა;
- დაიხვეწოს და გაფართოვდეს სასწავლო პროგრამების მიხედვით საგამოცდო ტესტები, რომლებიც შეიძლება იყოს ერთგვაროვანი. ექსპერტთა განმარტებით, რეკომენდაციის თანახმად ტსეტი უნდა ყოფილიყო მრავალფეროვანი, რადგან რაზეც იყო საგანში აქცენტი გაკეთებული ის ცოდნა სხვაგვარადაც შეიძლებოდა დადასტურებულიყო;
- სასწავლო კურსის სილაბუსები უნდა იყოს შემუშავებული მათი განმახორციელებლების მიერ და მითითებული რეკვიზიტები უნდა აძლევდნენ სტუდენტებს უკუკავშირის შესაძლებლობას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კურსის ხელმძღვანელს რაღაც წვლილი უნდა ჰქონოდა შეტანილი, ლიტერატურას ეთანხმებოდა თუ არ ეთანხმებოდა. სამსწავლო კურსის განმახორციელებლს უნდა მისცემოდა შესაძლებლობა სურვილისამებრ შეესწორებინა სილაბუსი;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბდეს ქულათა განაწილების წესი სტუდენტის საბოლოო (100 ქულით) შეფასებისას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ იყო განმარტება, რომ 60/30 ფარგლებში უნდა ქონდა მიღებული სტუდენტს, ეს იყო შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე, რომ საბოლოო ჯამში მიეღო უფლება კრედიტის მოპოვებისთვის, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტთა ჯგუფმა დასვა კითხვები, პასუხად კი მიიღეს, რომ ზოგიერთ საგანში გადანაწილებულია 60/40, ზოგიერთში 70/30 და აქედან გამომდინარე უნივერსიტეტმა გააკეთა ჩანაწერი, რომ ეს ყველა შეფასების მეთოდს მორგებოდა. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მისი ფორმულირება სხვაგვარადაც შეიძლებოდა და საჭიროებდა მეტ განმარტებას;
- უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება სწავლის შედეგების შეფასების ყველა მეთოდის შესახებ სასწავლო კურსის დაწყებისთანავე. გოდერძი ბუჩაშვილმა განმარტა, რომ ამაში შედიოდა სილაბუსის გაცნობა, კურსის შესახებ ინფორმაციის გადაცემა, როგორი ფორმატით იყო გაწერილი გამოცდები და ა.შ.;

- გამოცდის შედეგები მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, გონივრული ვადით, უნდა იყოს შენახული. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თქვა, რომ მათ შენახული/დაარქივებული გამოცდები ვერ ნახეს, თუმცა ნახეს ელექტრონულად შენახული. მაგრა, რადგან არ იყო დაარქივებული ვარიანტი აღნიშნული რეკომენდაცია დარჩა ძალაში, რასაც სჭირდება დრო, სასწავლო წელი რომ დამთავრდება, შესაძლებელი იქნებოდა უნივერსიტეტს წარმოედგინა შენახული/დაარქივებული საგამოცდო ნაშრომები;
- დაწესებულებამ გამჭვირვალე გახადოს ქართული ენის აკრედიტებულ პროგრამაზე ჩარიცხვის, სტუდენტის სტატუსის და სტუდენტთა სწავლის შედეგების მონიტორინგი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, ეს მოიცავდა როგორ ირიცხებოდა სტუდენტი, როგორ ენიჭებოდა 60 კრედიტი, როგორ ტარდებოდა ენის კომპეტენციის გამოცდა, სადაც მოწმებდებოდა მისი ცოდნა;
- დაიხვეწოს და შესაბამისობაში მოვიდეს ვებგვერდი ორივე ენაზე;
- მიეცეთ სტუდენტებს საშუალება გადაიხადონ სწავლის საფასური კრედიტების/საგნების შესაბამისად;
- ქართულ ენოვან პროგრამებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დაწესდეს ქართული ენის კომპეტენციის შესამოწმებელი გამოცდა. გოდერძი ბუჩაშვილმა განმარტა, რომ აღნიშული მნიშვნელოვანი იყო, რათა დაწესებულება დარმუნებული ყოფილიყო, რომ სტუდენტმა იცოდა ქართული ენა და ის შეძლებდა პროგრამის დაძლევას;
- უცხოენოვან პროგრამებზე დაწესდეს შესაბამისი ენის კომპეტენციის შესამოწმებელი გამოცდა;
- რეგულარულად მოხდეს კურსდამთავრებულთა ბაზის სრულყოფა და მონაცემების ანალიზი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს იყო მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული რეკომენდაციების ჩამონათვალი და მოკლე მონახაზი იმისა, თუ, რამდენად იქნა შესრულებული ან არ იქნა შესრულებული ეს რეკომენდაციები ინსტიტუციის მიერ ხარვეზის გამოსწორებისთვის მიცემული 60 დღიან ვადაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს შეეჯამებინა როგორი იყო მისი ზოგადი შთაბეჭდილება, იმის შესახებ თუ მოცემული რეკომენდაციებისა და რჩევების რა ნაწილი იყო შესრულებული სრულად, ნაწილობრივ ან საერთოდ არ იყო შესრულებული. მას აინტერესებდა ექსპერტთა ჯგუფის შეფასება მთლიანობაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა განაცხადა, რომ მე-5 სტანდარტთან მიმართებით 2 რეკომენდაცია არ იყო შესრულებული, 5 რეკომენდაცია შესრულდა, დანარჩენი კი შესრულდა ნაწილობრივ. მან დაამატა, რომ 60 დღიან ვადაში გარკვეული რეკომენდაციების შესრულება ექსპერტების მოსაზრებით, 60 დღიან ვადაში შეუძლებელი იყო.

სხდომის თავმჯდომარემ, ნუგზარ სხირტლაძემ, დააზუსტა რატომ არ შეიძლებოდა შესრულებულიყო მე-5 სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციები და აღნიშნა, რომ მაგალითადვებგვერდის შესაბამისობაში მოყვანა და სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის კრედიტების შესაბამისად გადახდის შესაძლებლობის მიცემის შესახებ რეკომენდაციის შესრულება, 60 დღიან ვადაში მისი აზრით, შესაძლებელი იყო.

გოდერძი ბუჩაშვილმა განაცხადა, რომ გადასახადების გადახდასთან მიმართებაში უნივერსიტეტისგან მიიღეს პასუხად, რომ სტუდენტები სწავლის საფასურს 4 წლის

განმავლობაში იხდიდნენ აღებული კრედიტების მიხედვით, თუმცა პროგრამის დასრულებისათვის განკუთვნილი პერიოდის გასვლის შემდეგ, სტუდენტები სწავლის საფასურს იხდიდნენ გასავლელი საგნის კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე.

სხდომის თავმჯდომარე, ნუგზარ სხირტლაძე, დაინტერესდა სილაბუსებთან მიმართებით არსებული ხარვეზები თუ იყო გამოსწორებული.

გოდერძი ბუჩაშვილმა განაცხადა, რომ ცალკეულ სილაბუსებში იყო ეს პრობლემა. თუმცა, როგორც წინა მონიტორინგის, ასევე მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში ასეთ ხარვეზებს ადგილი ჰქონდა რამდენიმე სილაბუსში და არა ყველაში ამიტომ აღნიშნული რეკომენდაცია ჩაითვალა ნაწილობრივ შესრულებულად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექპერტმა, ლარისა პატრაიამ უნივერსიტეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მას კომენტარის გაკეთება სურდა ისტიტუციის მიერ მე-5 სტანდარტთან, კერძოდ კი სტუდენტთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით. მან აღნიშნა რომ, სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის გადახდის არსებული წესი, რომელიც საშუალებას არ აძლევდა სტუდენტს სწავლის საფასური გადაეხადა საგნის კრედიტების მოცულობიდან გამომდინარე, უკავშირდებოდა 2 უნივერსიტეტის შერწყმის საკითხს, როდესაც მილემიუმის სასწავლო უნივერსიტეტი და ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებელი გაერთიანდა. ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ აღნიშნა, რომ ვიზიტის განმავლობაში დადგინდა, რომ რეალურად სტუდენტები, რომლებმაც ინსტიტუციების შერწყმის შემდეგ გადაიხადეს სწავლის საფასური მათ იცოდნენ, რომ ირიცხებოდნენ კონკრეტულ საფეხურზე, მაგ., საბაკალავრო საფეხურზე. ამ სტუდენტებს პირველივე შეხვვედრისას შეემჩნათ, რომ საერთოდ არ ჰქონდათ ქართული ენის ცოდნის კომპეტენცია და ექსპერტებს გაუმარტივდათ იმის დასაბუთება, რომ ეს სტუდენტები ვერ ისწავლიდნენ ქართულად. ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც სტუდენტს ეგონა, რომ სწავლობდა ინგლისურენოვან სექტორზე და აღმოჩნდა, რომ იყო ქართულ სექტორზე. ძალიან დიდი გაუგებრობა იყო აღნიშნულ უნივერსიტეტში, რაც ნაწილობრივ განპირობებული იყო იმით, რომ მოხდა 2 ინსტტუციის შერწყმა და ადმინსიტრაციული და ბიზნეს პროცესები დროულად და კარგად ვერ იქნა წარმართული. თუმცა, მას დარჩა შთაბეჭდილება, რომ თავად ძველ და ახალ უნივერსიტეტსაც კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ ინსტიტუციაში „ქეშფლოუს“ (ფულადი ნაკადის) შემოსვლა განპირობებული უნდა ყოფილიყო სწორედ შერწყმის შედეგად განხორციელებული სტუდენტთა მობილობით. ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ვერ უზრუნველყოფდა ამ სტუდენტების განათლებას, შესაბამისად, ერთი სემესტრი გამოყენებულ იქნა იმისათვის, რომ ინსტიტუციას მიეღო თანხები სტუდენტთა მიერ გადახდილი სწავლის საფასურის სახით, სემესტრის ბოლოს კი შეეჩერებინათ სტუდენტებისათვის სტატუსი, რაც განახორციელეს კიდეც. ლარისა პატარაიამ კითხვებზე პასუხების გაცემისთვის მზაობა გამოთქვა და განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს მონიტორინგის ფარგლებში არ ჰქონდა წვდომა უნივერსიტეტის მატერიალურ და ფინანსურ რესურსებზე, რაც საშუალებას მისცემდათ მათ უფრო მყარად დაესაბუთებინათ აღნიშნული პოზიცია.

სხდომის თავმჯდომარემ, ნუგზარ სხირტლაძე, მიმართა ექსპერტს, რომ დაწესებულებების შერწყმა მოხდა 2019 წლის პირველ ივლისს და ამის შემდეგ სამი სემესტრი იყო გასული. ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ აღნიშნა, რომ საუბარი იყო იმაზე თუ როდის შეუჩერდათ სტუდენტის სტატუსი ჯამურად ბევრ საერთაშორისო სტუდენტს ერთდროულად და აღნიშნა, რომ ეს მოხდა ინსტიტუციების შერწყმის შემდეგ პირველი სემესტრის ბოლოს, როდესაც

სტუდენტებს გადახდილი ჰქონდათ სწავლის საფასური და ირიცხებოდნენ ქართული ენის შემსწავლელ პროგრამაზე და ეს იყო მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც გარკვეულ კითხვის ნიშანს ბადებდა უნივერსიტეტის გადაწყვეტილებებთან მიმართებით. ექსპერტმა ასევე შეახსენა საბჭოს წარმომადგენლებს მონიტორინგის განხორციელების მიზეზი - რომ ეს იყო განცხადება, რის გამოც დაიწყო უნივერსიტეტში ეს პროცესები. მან აღნიშნა, რომ მნიშველოვანი იყო, როგორც განცხადების დაწერის მოტივის გათვალისწინება, ასევე გათვალსიწინება იმისა, თუ რა ფაქტობრივ გარემოებებს წააწყდნენ ექსპერტები ინსტიტუციაში და რა როლი შეიძლება ჰქონოდა ამას ინსტიტუციის მიერ სტუდეტებისათვის შეთავაზებული უმაღლესი განათლების ხარისხზე და თუ რამდენად ჰქონდა დაწესებულებას იმის რესურსი, რომ ეს გამოწვევები კეთილსინდისიერად გადაელახა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა დავით ბოსტოღანაშვილმა მიმართა ექსპერტებს, რომ ყველა რეკომენდაციის შესრულებისათვის 60 დღიანი ვადა არ იყო საკმარისი, ის დაინტერესედა იმ რეკომენდაციებისთვის, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა დადო, რამდენად იყო ყველა რეკომენდაციის გამოსწორების შესაძლებლობა პერსპექტივაში, მაგ. 6 თვე, თუ დასჭირდებოდა მეტი დრო, მაგ. ერთ წელი, ორი წელი, თუ ა.შ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვლმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა 60 დღიანი ვადა და ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ხარისხის კულტურას, რომლის განვითარებას უნივერსიტეტში 3-4 წელი მაინც სჭირდებოდა. დანარჩენ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, სასწავლო პროცესის წარმართვასა და და მის ეფექტიანობასთან დაკავშირებით, რეკომენდაციების შესრულებას სჭირდებოდა მინიმუმ 1 სემესტრი მაინც, რომ მომხდარიყო დაკვირვება, შესწავლა, რეკომენდაციების გაცემა, მონიტორინგი და ა.შ. დანარჩენი რეკომენდაციები ეხებოდა რეგულაციებს, საქმის წარმოების მონიტორინგის წესს, ეს იყო ისეთი ელემენტარული რეკომენდაციები, რომლებისთვისაც 60 დღე საკმარისი უნდა ყოფილიყო, თუმცა მაინც გამოიკვეთა წარუმატებელი შემთხვევები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 60 დღე იყო მაქსიმუმი რისი გადავადების უფლებაც ჰქონდა საბჭოს.

ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ აღნიშნა, რომ უფრო გლობალურად უნდა ემსჯელათ, უნივერსიტეტს ჰქონდა თუ არა რაღაცეების ცვლილების კეთილი ნება, მაგ., რეკომენდაცია 1 იყო სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში უკვე იყო შეცვლილი სახელი, თუმცა ამას დასჭირდა რამდენიმე თვე და საკომუნიკაციო არხებში სახელის ცვლილება არ იყო დაფიქსირებული. მან კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდა თუ არა უნივერსიტეტს კეთილი ნება და მისი პოლიტიკა ითვალისწინებდა თუ არა იმას, რომ მაქსიმალურად ცვლილებებზე ყოფილიყო ორიენტირებული და უნდოდა თუ არა შეეცვალა მანკიერი მიდგომები და პოლიტიკა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დანარჩენ ნაწილში ეთანხმებოდა ექპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, იყო რეკომენდაციები, რომლებიც დიდი ძალისხმევას საჭიროებდა და თუ დაწესებულება რესურსების მობილიზებას გააკეთებდა მოკლევადიან პერიოდში შესაძლებელი იყო გამოსწორებულიყო, თუმცა ეს პერიოდი უნივერსიტეტს ბევრ მიმართულებაში არ გამოუყენებია.

საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნაში რამდენიმე ადგილას იყო ნახსენები სილაბუსის ავტორი და განმახორციელებელი პირი, მისი აზრით ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ხომ არ

ექმნებოდათ სტუდენტებს პრობლემები პედაგოგებთან კომუნიკაციის თვალსაზრისით, რადგან მას შეეძლო წარმოედგინა სილაბუსი სადაც არც სილაბუსის ავტორი და არც განმახორციელებელი მითითებული არ იყო. ქართულ სინამდვილეში ასეთი სილაბუსებიც იყო, მათ შორის აკრედიტებულ პროგრამებშიც. მთავარი პრობლემა, იყო რამდენად იტოვებდა უკუკავშირისთვის კომუნიკაციის საშუალებას მიწოდებული ინფორმაცია სტუდენტებისთვის. იგი დაინტერესდა, თუ მიეცათ ექსპერტებს საშუალება და თუ დაინტერესდნენ სტუდენტებთან, რამდენად ექმნებოდათ პრობლემა ამ თვალსაზრისით, კურსის განმახორციელებლებთან კომუნიკაციის პრობლემა ხომ არ შექმნიათ.

14:30 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ირაკლი კოხრეიძე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტები სტუდენტებს გაესაუბრნენ ამ საკითხზე, თუმცა მათ არ უპასუხიათ, რომ კომუნიკაციის პრობლემა შეექმნათ რომელიმე პროფესორთან. მან აღნიშნა ის ფაქტი, რომ საქართველოში იყო პრაქტიკა, რომ ერთი ლექტორი რამდენიმე უნივერსიტეტში ასწავლიდა, საქმე ის იყო, რომ სხვა სილაბუსში მითითებული ლიტერატურა არ უნდა იყოს გადმოტანილი და იმ სილაბუსს უნდა ეტყობოდეს, რომ ყველაფერში არ ეთანხმებოდა, განახლებული ლიტერატურა უნდა იყოს შეტანილი და ამით საავტორო უფლებების მომენტიც დგება და ა.შ.

საბჭოს წევრმა დააზუსტა, რატომ დადგებოდა სილაბუსის საავტორო უფლებები ეჭვქვეშ თუ ავტორი იყო მითითებული და არა განმახორციელებელი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორ იქნებოდა ავტორი მითითებული, თუ საკონტაქტო ინფორმაცია განმახორციელებლის უნდა ყოფილიყო, მაშინ ორივე უნდა ყოფილიყო მითითებული და ცხადი ყოფილიყო სილაბუსში. რაც შეეხებოდა განახლებას, ვინც არ დაეთანხმებოდა შესაძლებელი იქნებოდა ლიტერატურის დამატება, რადგან სილაბუსი უნდა ყოფილიყო მუდმივად განახლებადი, მოქმედი და ყველა ინფორმაციის მიმწოდებელი.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ მისთვის აბსოლუტურად გასაგები იყო ექსპერტების პოზიცია უბრალოდ უნდოდა პრობლემის არსში გარკვეულიყო.

სხდომის თავმჯდომარემ, ნუგზარ სხირტლაძემ, მისი თხოვნის შესაბამისად, სიტყვა გადასცა ექსპერტ, ლარისა პატარაიას.

ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ განმარტა, რომ სილაბუსში მარტო ეს პრობლემა არ ყოფილა. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და ყველაზე სერიოზული პრობლემა, რომელიც გამოიკვეთა და რომელიც რა თქმა უნდა კავშირში იყო სილაბუსებთან, ეს იყო კომუნიკაცია ადმინისტრაციასა და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს შორის. ძირითადი სურათი აჩვენებდა, რომ აკადემიურ პერსონალს არ ჰქონდა არანაირი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა შრომით ურთიერთობაში იყო უნივერსიტეტთან. ექსპერტებმა ინტერვიუების დროს ერთ-ერთ რესპოდენტს დაუსვეს კითხვა, რომელიც ეხებოდა სილაბუსის შინაარსს და პასუხი იყო, რომ სილაბუსი იყო ასეთი და მას, რაც დახვდა იმას კითხულობდა, შესაბამისად ეს მნიშვნელოვანი საკითხი იყო გათვალისწინებული დასკვნაში.

საბჭოს წევრმა, მორის შალიკაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტების ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო „სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურა უნდა იყოს იმ ენაზე, რა ენაზეც არის პროგრამა“, ანუ რეალურად პროგრამა იყო ქართულენოვანი, მაგრამ ლიტერატურის დიდი ნაწილი -

რუსულენოვანი, მას დააინტერესა ეს რუსულენოვანი ლიტერატურა არსებობდა თუ არა ბიბლიოთეკაში, ჰქონდათ თუ არა ექსპერტებს შესაძლებლობა რომ ენახათ, სტუდენტს მიუწვდებოდათ თუ არა ხელი ამ ლიტერატურაზე და იყო თუ არა განახლებული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტებმა დაათვალიერეს ბიბლიოთეკა, შესაბამისად ნახეს ის ლიტერტურაც, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია არ ეხებოდა იმის გადამოწმებას იყო თუ არა ლიტერატურა ხელმისაწვდომი.

საბჭოს წევრმა უპასუხა, რომ მისთვის გასაგები იყო, თუმცა დაინტერესა ეს კონკრეტული ლიტერატურა თუ იყო, რომელიც მითითებული იყო სილაბუსში და იყო თუ არა უახლესი ლიტერატურა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ყველა ლიტერატურა იყო თუ არა უახლესი ამისი დადგენა არ მომხდარა, რადგან ეს არ იყო მონიტორინგის მიზანი.

საბჭოს წევრმა განმარტა, რომ შეეძლოთ ბევრი წიგნი ჩაეყარათ სილაბუსში, თუმცა თუ ამ წიგნებს სტუდენტს არ მიაწვდიდნენ, იმის მიუხედავად თუ პროგრამა სხვა ენაზე ხორციელდება, აუცილებელი იყო რომ მინიმუმ ხელმისაწვდომი მაინც ყოფილიყო.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ მიმართულებით იყო რეკომენდაციები, ექსპერტებმა აიღეს სილაბუსები, ამოარჩიეს ლიტერატურა და დაათვალიერეს ბიბლიოთეკაში, ამ კუთხით აღნიშნული ლიტერატურა იძებნებოდა ბიბლიოთეკაში, განახლებული იყო თუ არა მისი აზრით ეს სხვა თემა იყო.

საბჭოს წევრმა, ირმა ჭანტურიამ მიმართა ექსპერტს, ლარისა პატარიას, რომ ახსენა სტატუსშეჩერებული სტუდენტები, ხომ არ ახსოვდა რა მოტივით ჰქონდათ შეჩერებული სტატუსი და რომელ კურსელებს.

ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ უპასუხა, რომ ძირითადად იყვნენ უცხოენოვანი სტუდენტები და არა ქართველები, რომლებიც ცხოვრობდნენ ირანში, აზერბაიჯანში და ა.შ. ექსპერტები ვისაც შეხვდნენ იყვნენ მესამე კურსელები და ეს სტუდენტები სტატუსის შეჩერების მიზეზად ასახელებდნენ, რომ არ ჰქონდათ ქართული ენის საკმარისი ცოდნა, რომელიც აღმოაჩინეს შერწყმიდან ერთი სემესტრის შემდგომ. მაგ., საბაკალავრო საფეხურის ბიზნეს ადმინისტრირების მესამე კურსის პირველი სემესტრი ისწავლეს და შემდეგ აღმოაჩინეს, რომ თურმე ქართული ენის ცოდნის შესაბამისი კვალიფიკაცია არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა დააზუსტა, რომ ორი კურსი იცოდნენ ქართული და მესამეზე აღარ იცოდნენ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ამის არგუმენტად დაწესებულებამ მოიყვანა, რომ აღნიშნული სტუდენტები ძირითადად იყვნენ მობილობით გადასული სტუდენტები, თუმცა ექსპერტების რეკომენდაციებში ერთ-ერთი კომპონენტი ეგეც არის, რომ შეუძლებელია მობილობით გადადიოდეს სტუდენტი და დაწესებულებამ გადასვლის ეტეპზე ვერ შეძლოს მათი ენის კომპეტენციის დადგენა. მითუმეტეს, როდესაც ეს ეხება სტუდენტთა დიდი ნაწილს.

საბჭოს წევრი დაინტერესდა რამდენ სტუდენტზე იყო საუბარი. ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ უპასუხა, რომ საუბარი იყო 100-ზე მეტ სტუდენტზე.

ექსპერტმა, დავით ტეფნაძემ განაცხადა, რომ ეს არ იყო მხოლოდ უნივერისტეტების შერწყმის დროს გადასული სტუდენტების პრობლემა, დასკვნაშიც იყო აღნიშნული, რომ ექსპერტებს

ჰქონდათ გასაუბრება ერთ-ერთ სტუდენტთან, რომელიც აღნიშნულ უნივერსიტეტში მანამდე, დაწესებულებების შერწყმამდე იყო მობილობით გადასული და უკვე მესამე კურსზე იყო და ინსტიტუციამ აღმოაჩინა, რომ არ იცოდა ქართული ისე, როგორც უნდა სცოდნოდა. მან აღნიშნა კიდევ ერთი გარემოება, რომ ექსპერტებს უნდა ჰქონოდათ ორი სესია სტუდენტებთან შეხვედრის, დაახლოებით 16 სტუდენტთან უნდა ყოფილიყო გასაუბრება, მაგრამ ინსტიტუციის მიერ ვერ მოხეხრდა თექვსმეტივე სტუდენტის ერთდროულად ჩართვა, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფს დაჭირდაZoom-ის, Viber-ის, WhatsApp-ის გამოყენება სტუდენტებთან ინტერვიუს ჩასატარებლად, რამაც მათ არ მისცა სტუდენტების იდენტიფიცირების შესაძლებლობა. თუმცა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ყველაზე დიდი პრობლემა იყო, ის რომ გასაუბრება მიმდინარეობდა 3 ენაზე: ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, რადგან სტუდენტები ვერ საუბრობდნენ ქართულად და რეალურად სხვადასხვა ენებზეც ვერ იყო სრულყოფილად უზრუნველყოფილი კომუნიკაცია. ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ დაამატა, რომ აზერბაიჯანულ ენაზეც მოუხდათ ექსპერტებს სტუდენტებთან გასაუბრება.

საბჭოს წევრმა, მაია მანწკავამ 14:45 საათზე დატოვა საბჭოს სხდომა.

სხდომის თავმჯდომარემ, ნუგზარ სხირტლაძემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

დაწესებულების რექტორის მრჩეველი, ნატალია ბარათელი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს და განაცხადა, რომ ექსპერტებმა საკმაოდ სერიოზული სამუშაო შეასრულეს. მან აღნიშნა, რომ ვიზიტმა საკმაოდ საქმიან ვითარებაში ჩაიარა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ გაგზავნა არგუმენტირებული პოზიცია, მათი აზრი არ იყო გათვალისწინებული დასკვნის საბოლოო ვერსიაში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზოგიერთი რეკომენდაციის შესასრულებლად სჭირდებათ ბევრი მუშაობა, მაგ. დაწესებულებაში ხარისხის განვითარების კულტურის დანერგვა, ეს არ იყო მხოლოდ აღნიშნული უნივერსიტეტის პრობლემა, ადრე სხვანაირად იყო წარდგენილი, ახალმა სტანდარტებმა ხარისხის განვითარების კულტურის დანერგვა მოითხოვა და დაწესებულება მუშაობდა ამ საკითხზე, არა 6 თვის მერე, არამედ მანამდე, რაც მიიღეს პირველი მონიტორინგის დასკვნა. ვერც იმაში დაეთანხმა ექსპერტებს, რომ მათთვის ეს იყო უმნიშვნელო, პირიქით პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ საკითხს, შეიმუშავეს უამრავი რეკომენდაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა რეკომენდაციაზე - „აუცილებლად უნდა შედარდეს სილაბუსებისა და მოცემული ტესტების საკითხები“. მან აღნიშნა, რომ ისინი დაელოდნენ სემესტრის ბოლოს და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, რომ მიეწოდებინა მათთვის საგამოცდო საკითხები, ტესტები და ა.შ. და დაიწყეს სილაბუსებთან შედარება.

ნატალია ბარათელმა განმარტა, რომ ამავე დროს, ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ შუალედურ და დასკვნით გამოცდებს, წერილობით ტესტებს, ზეპირ გამოკითხვებს, დასკვნით გამოცდას (დისტანციურად), აქედან გამომდინარე, როცა დამთავრდა ყველა საგამოცდო პროცესი და მათ რეალური საგამოცდო პროცესის შესახებ ჰქონდათ სრული ინფორმაცია და აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ გადაგზავნილი დოკუმენტაცია დაიწყეს შედარება და გასცეს რეკომენდაციები. ის რეკომენდაციები, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფმა გასცა, ზუსტად მათი 14 ივლისის რეკომენდაციებიდან იყო აღებული, მათ ეს რეკომენდაციები დადეს და მიაწოდეს პროგრამის ხელმძღვანელებს. ასევე, პირდაპირი რეკომენდაციები გასცეს რამდენიმე მოწვეულ პერსნალთან მიმართებით, ძირითადად ტესტების შესახებ, რომ უმეტესად გამოყენებული ყოფილიყო ღია ტესტები და არა დახურული, ცოდნის უკეთ შესაფასებლად და შედეგებზე უკეთ გასასვლელად. ასევე, უნდოდათ გამოჩენილიყო პრაქტიკული კომპონენტის ძირითადი ნაწილი და წინა გავლილ მასალაზე ყოფილიყო შეფასება დაფუძნებული. ამასთან,

საკითხები, რომ მარტივად აღსაქმელი ყოფილიყო რა იცოდა, როგორ იცოდა და მომავალში როგორ გამოჩნდებოდა ეს შედეგი. ეს იყო სერიოზული დასკვნა, ეს არ იყო მხოლოდ დასკვნა დასკვნისთვის და ვერ დაეთანხმებოდა ექსპერტებს, რომ რეალური პროცესები დაიწყო 6 თვის მერე.

ნატალია ბარათელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იანვრის შუა რიცხვებში შევიდა მონიტორინგი, დაახლოებით 10 აპრილს იყო წარდგენილი საბჭოს წინაშე დასკვნა, 27-ში როგორც წესი და რიგი იყო ცენტრმა ზუსტად ისე დადო საბჭოს დასკვნა, რა რეკომენდაციები და როგორ უნდა შეესრულებინათ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა რომ 27 აპრილიდან დაიწყეს, რეალურად მანამდე დაიწყეს სერიოზული პროცესები, პირველ დასკვნაშიი შესაძლებელია იმის ნახვა რა დოკუმენტაცია ჰქონდათ მაშინ და რა წარადგინეს ამ ეტაპზე. აღნიშნული ნიშნავდა, რომ მართლა სერიოზული სამუშაო იყო ჩატარებული. თუმცა, ექსპერტებმა თავის დასკვნაშიც აღნიშნეს, რომ მიდიოდა/დაწყებული იყო სამუშაო: გაკეთებული ჰქონდათ ანგარიში, ჩატარებული იყო კვლევა ელექტრონული სწავლების პროცესში ლექტორთა შეფასების შესახებ. ექსპერტთა ვიზიტის დროს ეს ყველაფერი ახალი გაკეთებული იყო და ამიტომ ნედლი მასალა წარედგინათ, უკვე დასკვნის პროექტში მთლიანი ანგარიში წარადგინეს, რაც ნიშნავდა, რომ დაწესებულებაში სასიკეთო პროცესები მიდიოდა და დააწესებულება ნამდვილად ვითარდებოდა, რადგან ის გადავიდა ქმედებებზე.

ნატალია ბარათელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების სახელწოდებასთან დაკავშირებით მათ წარმოდგენილი ჰქონდათ ამონაწერი რეესტრიდან. აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ ცხადდებოდა კონკურსი ახალ პროგრამაზე, კონკურსის გამოცხადება და დამთავრება, ახალი პროგრამა ისე ვერ განხორციელდებოდა, რეესტრში ფორმდებოდა ხელშეკრულება. ვიზიტზე წარმოდგნილი პერსონალი შერჩეული იყო ცენტრის მიერ, დაწესებულებას ჰქონდა მცდელობა ეხსნათ, რომ ესენი არ იყვნენ პროგრამის მოქმედი აკადემიური პერსონალი, ანუ ჯერ არ იყო დაწყებული პროგრამის განხორციელება, თუმცა კონკურსი უკვე ჩატარებული იყო. დაწესებულებას ჰქოდა ვალდებულება, რომ ბრძანებიდან 5 დღის ვადაში შეეყვანათ რეესტრში, ამის შემდეგ ცენტრმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ ვისაც მიაწოდებდა ზუსტად იმას უნდა შეხვედროდნენ. ცენტრი აკონტროლებდა რეესტრს და როდესაც ხედავდნენ, რომ ეწერათ ნული საათი ეს ნიშნავდა, რომ არ იყო მოქმედი პროგრამა, ხოლო ვინც იყო მოქმედი პროგრამიდან შეეძლოთ მას შეხვედროდნენ. დაწესებულებას ჰქონდა ზოგიერთ საკითხზე სამუშაო, ასევე იყო სერიოზული პრობლემები, რომლებსაც მიყვებოდნენ და ასრულებდნენ რეკომენდაციებს. რაც შეეხებოდა საქმისწაერმოებას, 29 და 30 ივლისს გამოვიდა დაწესებულების ადმინისტრაცია სამუშაოდ ადგილზე ექსპერტეთა ვიზიტისათვის, რადგან დისტანციურად მუშაობდნენ. ამის ფონზე, ერთადერთი ბრძანება არ იყო გატარებული სარეგისტრაციო ჟურნალში, ელექტრონულად იყო გატარებული. მან დაამატა, რომ აბსოლუტურად არანაირი დარღვევა არც რეესტრის წარმოებაში და არც საქმისწარმოებაში დაწესებულებას არ ჰქონდა. რეესტრის წარმომადგენელი ცალკე ჰყავდა დაწესებულებას და საქმისწარმოების სამსახური ცალკე. აუცილებელი იყო სტრუქტურათაშორისი კულტურის ჩამოყალიბება, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მითუმეტეს წინ სერიოზული გამოცდა ჰქონდათ, ავტორიზაცია.

ნატალია ბარათელმა დაამატა, რომ 2019-2020 წლების გაზაფხულის სემესტრსა და 2020-2021 წლების შემოდგომის სემესტრში სასწავლო კურსების უკვე ის რეკომენდაციებიც შესრულდებოდა. სასწავლო კურსების საგამოცდო ნაწერები, ტესტები, ყველაფერი იქნებოდა შეგროვებული და დაარქივებული, რაც ვიზიტის დროს ვერ იქნებოდა, რადგან მიმდინარეობდა საგამოცდო პერიოდი და ვებგვერდზე ის გამოცდები რაც უკვე ჩატარებული იყო მთლიანად დაარქივებული და შენახული იყო.

სხდომის თავმჯდომარემ, ნუგზარ სხირტლაძემ შეახსენა დაწესებულებას, რომ ექსპერტთა ჯგუფმა 10-მდე ახალი რეკომენდაცია თუ ძველის გამეორება წარმოადგინეს.

ნატალია ბარათელმა განაცხადა, რომ იმ რეკომენდაციებიდან ოთხი მათ მიერ გაცემული რეკომენდაცია იყო სილაბუსების შესახებ, რაც შეეხებოდა „ზოგადი ეკოლოგიის“ კურსს ეს იყო არჩევითი სასწავლო კურსი, რომელიც კვალიფიკაციის მისანიჭებელ არც-ერთ შედეგზე არ გადიოდა. უბრალოდ, ეს იყო არჩევითი სასწავლო კურსი, რომელიც ენის კომპეტენციის გაღრმავების მიზნით ბევრ უნივერსიტეტში იყო შეთავაზებული, ამიტომ მათთვის გაუგებარი იყო აღნიშნული რეკომენდაცია ინსტიტუციის მიერ გარკვეულ კურსებზე დარეგისტრირებისათვის წინაპირობის დაწესების შესახებ. მან დაამატა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ არაჩვეულებრივად იცოდა, თუმცა დასკვნაში ეწერა, რომ ამ არჩევით სასწავლო კურსს არ ჰქონდა წინაპირობა, შესაბამისად ეს ნიშნავდა, რომ ნებისმიერ სტუდენტს, რომელსაც შეეძლო რუსულენოვანი სასწავლო კურსის შეესწავლა, ჰქონდა ამის არჩევის შესაძლებლობა.

სხდომის თავმჯდომარემ, ნუგზარ სხირტლაძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს არ ჰქონდა საუბარი „ზოგადი ეკოლოგიის“ კურსზე და მოუწოდა, რომ არ ჩაღმავებოდნენ მაინცდამაინც აღნიშნულ სასწავლო კურსს. ნატალია ბარათელმა განმარტა, რომ ეს იყო ერთადერთი რუსულენოვანი საგანი და დასკვნაშიც იყო აღნიშნული.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ უცხო ენაზე მიეწოდებოდათ სტუდენტებს ლიტერატურა, შესაბამისად საჭირო იყო შესაბამისი წინაპირობის არსებობა იმისათვის რომ ინსტიტუცია ყოფილიყო დარწმუნებული, რომ სტუდენტები სათანადო დონეზე ფლობდნენ რუსულ ენას, რადგან ლიტერატურა რუსულ ენაზე იყო შეთავაზებული. სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, ამ საკითხის გარდა, რატომ უნდა ყოფილიყო პრობლემა შრომით ხელშეკრულებებზე, რატო არ მიდიოდა ინფორმაცია თანამშრომლებამდე ინსტიტუციაში

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ზვიად მურადაშვილმა განმარტა, რომ დასკვნაში მხოლოდ ერთი სილაბუსი იყო მინიშნებული.

სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ არავის უხსენებია სასწავლო კურსი „ზოგადი ეკოლოგია“, საუბარი იყო ზოგადად - საჭიროების შემთხვევაში კურსების წინაპირობების დაწესების აუცილებლობაზე..

ზვიად მურადაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა, რაც შეამოწმა ეს იყო მხოლოდ „ზოგადი ეკოლოგიის“ სილაბუსი. მან განაცხადა, რომ II სტანდარტში ერთ-ერთი მუხლია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულ რეჟიმში უნდა ამოწმებდეს სასწავლო კურსებში მითითებულ საკონტაქტო ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად აახლებდეს მას, რომელზეც ნაწილობრივ შესაბამისობა იყო მონიშნული. თუმცა, დაწესებულებას სილაბუსის ფორმაში ქონდათ გრაფა სილაბუსის ავტორი, საკონტაქტო ინფორმაცია მითითებული იყო სასწავლო პრცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში, სადაც სილაბუსიც იყო ატვირთული, ანუ ყველა სტუდენტს ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ ენახათ პედაგოგის საკონტაქტო ინფორმაცია. ამასთან, სილაბუსის ავტორი ერთი ადამიანი იყო და განმახორციელებელი მეორე, დაწესებულება ვერ გაიზიარებდა იმ ფაქტს, რომ აუცილებლად ერთიდაიგივე ადამიანი უნდა ყოფილიყო, რადგან მათ არ ეწერათ, რომ ეს იყო სილაბუსის ავტორი. ცვლილებებს რაც შეეხებოდა, რომ სილაბუსი უნდა ყოფილიყო მოქმედი, თუ აღნიშნული ლექტორი კითხულობდა ამ სილაბუსით და მას ექნებოდა სურვილი, რომ განეხორციელებინა ცვლილებები, მოახდენდა მოდიფიცირებას და დაეწერებოდა ავტორად. სხვის სილაბუსს ვერ მიითვისებდა და ვერც დაეწერებოდა „წამკითხველი“, რადგან

წამკითხველი შესაძლებელია შეცვლილიყო, ყოველ ცვლილებაზე, ან ერთ სემესტრში შესაძლებელი იყო რამდენიმე ლექტორს წაეკითა, ყველა ავტორი ვერ იქნებოდა. არსებობდა დიდი ჯგუფები, სადაც 3 ან 4 ნაკადი იყო და შესაბამისი რაოდენობის ლექტორი კითხულობდა, თუმცა სილაბუსის ავტორი შეიძლებოდა ყოფილიყო 1 ან 2 და დანარჩენები იყვნენ წამკითხველები, ინფორმაცია სტუდენტებს ამის შესახებ ჰქონდათ, რადგან სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა იძლეოდა ამის შესაძლებლობას, რომ საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულიყო ცალკე, კონკრეტული სილაბუსის გასწვრივ.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რამდენიც არ უნდა ყოფილიყო წამკითხავი შედეგზე უნდა გასულიყო ყველა.

ზვიად მურადაშვილმა განაცხადა, რომ შედეგზე ყველა გადიოდა, შედეგთან არანაირი კავშირი არ ჰქონდათ, რადგან ისინი უბრალოდ კითხულობდნენ და სილაბუსის ავტორი ვერ იქნებოდა. ასევე, ექსპერტებს „არ არის შესრულებული“ ჰქონდათ მიჩნეული და გასცემდნენ რეკომენდაციას, რომ სასწავლო კურსები კიდევ ერთხელ გადახედვას მოითხოვდა. საერთაშორისო ბიზნესის სილაბუსის შემოწმების დროს გამოვლინდა, რომ სასწავლო კურსში მითითებული ლექტორის სახელი და გვარი არ ემთხვეოდა რეალურად განმახორციელებელ პირს“, არც დაემთხვეოდა და არსად იყო გაწერილი, რომ მხოლოდ სილაბუსის შემქმნელს ჰქონდა უფლება წაეკითხა საგანი, შესაბამისად „არ არის შესრულებულს“ არ დაეთანხმნენ.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნულ სილაბუსთან დაკავშირებით არაფერი იყო სადავო, გარდა იმისა, რომ ლიტერატურა იყო თუ არა ხელმისაწვდომი, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში შეეძლოთ წაეკითხათ სხვა ლექტორებს, თუმცა რამდენსაც არ უნდა წაეკითხა შედეგზე უნდა გასულიყვნენ.

ზვიად მურადაშვილმა განაცხადა, რომ შედეგზე თავისთავად გადიოდნენ, თუმცა რეკომენდაციასთან მიმართებით რომელიც შეფასებული იყო, როგორც „არ არის შესრულებული“, განამარტებული იყო, რომ „სასწავლო კურსში მითითებული ლექტორის სახელი და გვარი არ ემთხვეოდა რეალურად განმახორციელებელ პირს“, მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ფორმაში ეწერათ სილაბუსის ავტორი და ამიტომ არ ეთანხმებოდა აღნიშნულ რეკომენდაციას. შედეგზე რომ ყველა ლექტორი უნდა გასულიყო ეს ცალსახა იყო და კომპეტენციაც უნდა ჰქონოდათ აღნიშნული საგნის წასაკითხად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას ამ საკითხებთან დაკავშირებით რეკომენდაცია ჰქონდათ წინა მონიტორინგის დროს და მისი ჯგუფი ვალდებული იყო ამ რეკომენდაციასთან მიმართებით შესაბამისი დასკვნა გაეკეთებინათ შესრულდა თუ არ შესრულდა და სთხოვა, ესეც გაეთვალისწინებინათ.

ზვიად მურადაშვილი დაეთანხმა, რომ წინა რეკომენდაციაშიც ასე ეწერა და არც იმას ეთანხმებოდა, რადგან არ მიაჩნდათ სწორად.

საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ გაეგრძლებინა სხვა რეკომენდაციებზე საუბარი.

ზვიად მურადაშვილმა რეკომენდაცია 14-თან დაკავშირებით განაცხადა, რომ არ იყო შესრულებული იყო მონიშნული. გადმოტანილი იყო პირდაპირ მარეგულირებელი წესი, საუბარი იყო, რომ, როდესაც სტუდენტები მობილობით გადადიოდნენ, მობილობას თან სდევდა სემესტრული აღწერა, აღიარებული კრედიტების მიხედვით სტუდენტს შესაძლებელი იყო დაემთავრებინა სწავლა VII სემესტრში, შეიძლებოდა დასჭირვებოდა VIII სემესტრი,

რომელშიც გაივლიდა 1 ან 2 საგანს. ამის შემდეგ, იყო დამატებითი სემესტრები, დაწესებულებას ცალსახად ეწერა, რომ დამატებით სემესტრში სტუდენტი სწავლის საფასურს იხდიდა კრედიტების რაოდენობის მიხედვით. დაანგარიშება ხდებოდა მატივად, სტანდარტულად, ასე ჰქონდა ბევრ უნივერსიტეტს და ასე ქონდა აღნიშნულ უნივერსიტეტსაც. ერთი კრედიტის ღირებულება გამოიანგარიშებოდა წელიწადში რამდენი იყო სწავლის საფასური გაყოფილი 60 კრედიტზე. რაც შეეხებოდა VIII სემესტრს, როდესაც სტუდენტს შესაძლებელია 15 კრედიტი ქონოდა დარჩენილი და დაწესებულებას არ გადაეხდევინებინა სრული საფასური, ამ შემთხვევაში რა უნდა მომხდარიყო გრანტთან დაკავშირებით. მეორე საკითხი, რომელი სახელმწიფო ან კერძო უნივერსიტეტს უთქვამს, რადგან სტუდენტს VIII სემესტრში ქონდა 15 კრედიტი გასავლელი მე მას გადავახდევინებ მხოლოდ 15 კრედიტის საფასურს და არა სემესტრულს. თუ ასე ხდებოდა მას დააინტერესა რას უშვებოდნენ გრანტს, რომელსაც სახელმწიფო რიცხავდა. სტანდარტულად VIII სემესტრში იხდიდნენ სემესტრულ გადასახადს რაც დადგენილი იყო, მნიშვნელობა არ ჰქონდა რამდენი კრედიტი იყო დარჩენილი, ხოლო დამატებით სემესტრში დაანგარიშება ხდებოდა კრედიტების მიხედვით. ეს იყო მარტივი განმარტება, თუმცა, წინა მარეგულირებლის მიხედვით იქ იყო კატასტროფა, რთული იყო იმის გარკვევა რა თანხა უნდა გადაეხადა სტუდენტს, მისთვს მაინც გაუგებარი იყო რატომ არ ითვლებოდა აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულად.

საბჭოს წევრმა, მორის შალიკაშვილმა მიმართა ზვიად მურადშვილს, ყოფილა თუ არა შემთხვევა, როდესაც გარე მობილობით გადასულ სტუდენტს სწავლა დაემთავრებინა 7 სემესტრში 8 სემესტრის ნაცვლად.

ზვიად მურადაშვილმა დაადასტურა, რომ ყოფილა ასეთი შემთხვევა. საბჭოს წევრი დაინტერესდა, როგორ მოხდა ასე. ზვიად მურადაშვილმა განმარტა, რომ ასეთი შემთხვევა ყველგან ხდებოდა, რადგან, სადაც არსებობდა მობილობა, კრედიტების ტრანსფერი, როდესაც კეთდებოდა პროგრამული თავსებადობა აღიარებული საგნების მიხედვით, ჩვეულებრივად იყო შესაძლებელი და ამის არაერთი მაგალითი იყო, მათ შორის სახელმწიფო უნივერსიტეტებშიც. შესაბამისად, აღიარებული კრედიტების მიხედვით განესაზღვრებოდა სემესტრი და არა პროგრამულად. მან აღნიშნა ის ფაქტიც, რომ სტუდენტს პროგრამის დასამთავრებლად აუცილებლად სჭირდებოდა 7 სემესტრი, თუმცა როდესაც მობილობით გადადიოდა მაინორის ხარჯზე შესაძლებელი იყო თავისუფალ კრედიტებში აღიარებოდა 60 კრედიტი და შესაბამისად, ცალსახად III სემესტრელად გააგრძლებდა სწავლას.

საბჭოს წევრმა, მორის შალიკაშვილმა, განმარტა, რომ დიდიხანი იყო დეკანის მოადგილე და არ ყოფილა შემთხვევა, რომ მობილობით გადასული პირი, პირიქით სემესტრს იმატებდა ხოლმე, ასე იყო იურიდიულ ფაკულტეტზე.

ზვიად მურადაშვილი დაეთანხმა საბჭოს წევრს და შეახსენა, რომ იურიდიული ფაკულტეტი 24 კრედიტზე მეტს არ უღიარებდა, მათთან კი შესაძლებელი იყო 60 თავისუფალი კრედიტიც კი ეღიარებინათ.

საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა განაცხადა, რომ სემესტრული და კრედიტების მიხედვით გადასახადის დათვლა საკმაოდ შორს წაიყვანდა სხდომას. მას მიაჩნდა, რომ სტუდენტი სემესტრულ მომსახურებას იღებდა უნივერსიტეტისგან და ამიტომ სემესტრული გადასახადი უნდა გადაეხადა მას IX სემესტრში იქნებოდა თუ XII-ში, მაგრამ ეს არ იყო საბჭოს განხილვის საგანი, თუმცა მისთვის ძნელად წარმოსადგენი იყო, რომ 7 სემესტრში შესაძლებელი იყო დაემთავრებინა სტუდენტს სწავლა. მან განაცხადა, რომ როდესაც რეკომენდაცია წაიკითხა გაუჭირდა არსში გარკვევა, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, რომ საუბარი იყო გადასახადის სემესტრულად გადახდაზე. მისი აზრით, როდესაც

კერძო სამართლის იურიდიულ პირს ეხებოდა საქმე მთლიანად დაწესებულების გადასაწყვეტი იყო, რადგან მათ შეძლოთ დაეწესებინა გადასახადი, განსხვავებით სსიპ-ებისგან, რომლებიც კანონმდებლობით იყვნენ შეზღუდულნი. მან განაცხადა, რომ როდესაც ექსპერტს უსმენდა მან ცოტა სხვა კუთხით დასვა აღნიშნული საკითხი და მას დააინტერესა რას იტყოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები ამასთან დაკავშირებით, რადგან ამ მიმართლებით უფრო საინტერესო იყო მისთვის, რადგან იქ უფრო მასშტაბურ პრობლემაზე იყო საუბარი. მან ახსენა ასეთი ფაქტი, რომ როდესაც განხორციელდა დაწესებულებების შეწყმა, მოხდა სტუდენტების მობილობა და დაწესებულებას 100-ზე მეტი სტუდენტის ერთდროულად მოუხდათ სტუდენტის სტატუსის შეჩერება. მისთვის გასაგები იყო, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ექსპერტთა დასკვნიდან გამომდინარე, ეს სტუდენტები გადავიდნენ სემესტრის დასაწყისში, გადაიხადეს სემესტრული გადასახადი და სემესტრი ბოლოს ისე, რომ კრედიტები არ აუღიათ, შეუჩერდათ სტუდენტის სტატუსი. ამ მსჯელობის თანახმად ექსპერტებმა შესაძლოა მიიჩნიეს, რომ დაირღვა სტუდენტების უფლებები. მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს განმარტება გაეკეთებინა აღნიშულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლებმა დატოვეს საბჭოს სხდომა ტექნიკური ხარვეზის გამო.

საბჭოს წევრმა, ირმა ჭანტურიამ განაცხადა, რომ დასაკონკრეტებელი იყო მხოლოდ მობილობით გადასულ სტუდენტებს შეუჩერდათ სტატუსი თუ ადგილობრივებსაც, მაგალითად III და II კურსელებს.

ექსპერტმა, დავით ტეფნაძემ განაცხადა, რომ იყვნენ ისეთი სტუდენტებიც, რომლებიც არ იყვნენ შერწყმის შედეგად გადასულები, ანუ იყვნენ მანამდე გადასულები მობილობით.

საბჭოს წევრს დააინტერესა ქართული ენის არ ცოდნის პრობლემა ინსტიტუციების შერწყმამდე მობილობით გადმოსულ სტუდენტებთან მიმართებთაც არსებობდა თუ მხოლოდ შერწყმის შემდეგ მობილობით გადმოსული სტუდენტების შემთხვევაში, რაზეც ექსპერტმა აღნიშნა, რომ ქართული ენის კომპეტენციის პრობლემა იდგა ორივე შემთხვევაში.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღმოფხვრეს ტექნიკური ხარვეზი და დაბრუნდნენ სხდომაზე.

ზვიად მურადაშვილმა განაცხადა, რომ არ იცოდა რას გულისხმობდა ექსპერტი, თუმცა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი იყო სტატუსის შეჩერების საფუძველი, ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა. ასეთ სტუდენტს სტატუსი სხვა საფუძვლით შეჩერებული არ ჰქონდა, ის რომ ენა არ იცოდა და ვერ გაიარა რეგისტრაცია მისი პრობლემა იყო, გაიაროს თუ არ გაიაროს რეგისტრაცია ამაზე პასუხს დაწესებულება ვერ გასცემდა, თუმცა დაზუსტებით შეეძლოთ ეთქვათ, რომ სტატუსი რამდენსაც ჰქონდა შეჩერებული, ყველას შეჩერებული ქონდა მოქმედი რეგულაციის შესაბამისად, რასაც თვითონაც დაადასტურებდნენ, დასკვნაშიც ეწერა, რომ იცნობდნენ რეგულაციებს, რომელიც ამბობდა: „ადმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში სტუდენტს უჩერდება სტუდენტის სტატუსი“.

დაწესებულების იურისტმა, ამირან გიგუაშვილმა, განაცხადა, რომ სხდომის მოსმენისას გულწრფელად გაოცდა ექსპერტის, ლარისა პატარაიას ნათქვამით. როდესაც რაღაცას ამბობდა ექსპერტი თუ სხდომის მონაწილე პირი, ამისი მტკიცებულება უნდა არსებულიყო. არსებობდა არც ერთი საჩივარი, არც ერთი განაცხადი რომელიმე სტუდენტის, რომ მან გადაიხადა თანხა და შემდეგ შეუჩერდა სტატუსი და ამის გამო მას ჰქონდა რაიმე პრეტენზია. დაწესებულების

წარმომადგენლებისთვის გაუგებარი იყო რას ეფუძნებოდა ექსპერტი, როდესაც მათთვის მიუღებელ განცხადებას აკეთებდა, ან რაიმე არგუმენტი უნდა მოეყვანა ან უნდა ჩაითვლილიყო მის კერძო მოსაზრებად, რომელიც არ იყო შესაბამისობაში რეალობასთან, არც მტკიცებულებებთან, არც დოკუმენტებთან, არც რეგულაციის წესებთან.

ზვიად მურადაშვილმა განაცხადა, რომ ერთ-ერთ რეკომენდაციაზე, რომელიც მოიცავდა „ქართულენოვან პროგრამებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დაწესდეს ქართული ენის კომპეტენციის შესამოწმებელი გამოცდა“ ჩათვლილია არ არის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მათთვის უკვე ცნობილი იყო, რომ შესრულებული იყო და პროცესი დაწყებული იყო.

ზვიად მურადაშვილი დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარეს და განმარტა, რომ არ მოუთხოვიათ ექსპერტებს დოკუმენტაცია, თუმცა მათ გაგზავნილი ჰქონდათ. მათ მოითხოვეს ტესტის ნიმუში, რომელიც მიაწოდეს. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა არ ავალდებულებთ, რომ გარდა იმისა რომ უნდა მოხდეს ჩანაწერის გაკეთება და სამინისტროს ვებგვერდზე ატვირთვა რაიმე სხვა რეგულაციის შემოღებას მაინც შემოიღეს და ჰქონდათ, რადგან ისინიც თვლიდნენ, რომ საჭირო იყო ენის კომპეტენციის შემოწმება წერილობით ყოფილიყო ასახული. თუმცა, წინა ექსპერტების დასკვნა რასაც ეფუძნებოდა და რის მიხედვითად დაწერეს ბოლო პერიოდში მსგავსი რამ აღარ განმეორებულა. რაც შეეხებოდა საგამოცდო ნაწერებს, მან აღნიშნა, რომ მათი დაარქივება ვერ მოხდებოდა, რადგან ეს ხდებოდა პროცესის დასრულების შემდგომ. მთავარი იყო, რომ ინახებოდა ადგილზე სამი წლის ვადით. გააკეთბული იყო რეგულაცია და ჩანაწერი, მისთვის გაუგებარი იყო როგორ უნდა დაამტკიცებინა, რადგან ვადა ჯერ არ იყო გასული.

სხდომის თავმჯდომარემ შეახსნა, რომ იგივე ითქვა ხარისხის კულტურის დანერგვაზე და მათთვის ესეც გასაგები იყო, მოკლე დროში ვერ მივიდოდა ბოლომდე, რაც გასაგები იყო და ამაზე ნუ იდავებდნენ.

ცენტრის წარმომადგენელმა, ანა გვრიტიშვილმა დააზუსტა ესწრებოდა თუ არა განხილვას რექტორი მარიამ მესხიშვილი-ეფაძე. ზვიად მურადაშვილმა დაადასტურა, რომ რექტორი ესწრებოდა განხილვას. სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ თუ რექტორი არ ესწრებოდა განხილვას დასჭირდებოდათ მინდობილობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ დამაზუსტებელი კითხვები.

საბჭოს წევრმა დავით ბოსტოღანაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების თქმით უკვე შეტანილი ჰქონდათ განცხადება ავტორიზაციაზე. მას აინტერესებდა, რა პერიოდში მოხდა განაცხადის შეტანა, ქრონოლოგიური სურათი რომ ყოფილიყო ნათელი.

დაწესებულების წამრმომადგენელმა, ნატალია ბარათელმა უპასუხა, რომ თებერვლის დასაწყისში იყო განაცხადი შეტანილი. მიმდინარეობდა დოკუმენტაციის თარგმანი ინგლისურ ენაზე და შესაძლებელი იყო 2-3 თვეში ყოფილიყო ავტორიზაციის ვიზიტი. ყველაფერი დამოკიდებული იყო საერთაშორისო ექსპერტების მიწვევაზე. ავტორიზაციის ვადა კანონმდებლობით გადატანილი იყო პირველ ივლისამდე.

საბჭოს წევრმა, მორის შალიკაშვილმა, განაცხადა, რომ დავით ტეფნაძის თქმით, სტუდენტებთან კომუნიკაცია განხორციელდა ყველა შესაძლო საშუალებით, საუბარი იყო 3-4

ენაზე საუბარზე, როგორც მან შეამჩნია უცხოენოვანი სტუდენტების რაოდენობა საკმაოდ მაღალი იყო და ეს კითხვა იდგა წინა განხილვაზეც და ახლაც დააინტერესა, ამ სტუდენტებმა, რომლებიც ქართულ პროგრამაზე იყვნენ ჩარიცხულები, იცოდნენ თუ არა ქართული ენა.

ზვიად მურადაშვილმა უპასუხა, რომ ისინი არ იყვნენ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტები, შეჩერებული ჰქონდათ სტატუსი, წინა მონიტორინგზეც შეჩერებული იყო უცხოელი სტუდენტების რაოდენობა, რის შემდეგაც შემოიღეს რეგულაცია და ისინი არცერთი არ ყოფილან აქტიური სტატუსის მქონენი. რაც შეეხებოდა მაღალ სემესტრელებს, რომლებმაც არ იცოდნენ და შეჩერებული ჰქონდათ სტატუსი, მან განმარტა, რომ მივიდა სტუდენტების კატეგორია, რომელმაც ცუდად იცოდა ქართული, მიაღწიეს მესამე სემესტრამდე. ერთი სემესტრის შემდეგ მათ დაინახეს. რომ ვერ ძლევდნენ პროგრამას, არ ყოფნიდათ ენობრივი კომპეტენცია და აღან გავიდნენ ადმინისტრაციულ რეგისტრაციაზე, ესეც მისი უფლება იყო. ესეთი რამ, რომ ვიღაცას არ ჰყოფნიდეს კომპეტენცია და ყოფილიყო აქტიური სტატუსის მქონე არ ხდებოდა. დაწესებულებაში მოქმედებდა რეგულაციები, რომლებითაც სტუდენტი თუ ხვდებოდა, რომ ენა არ იცოდა და ვერ ჩააბარებდა გამოცდას არ გადიოდა ადმინისტრაციულ რეგისტრაციას. სტუდენტად რომ ირიცხებოდა ბავშვი, რომელმაც ენა არ იცოდა დაწერსებულებას არ ჰქონდა ბერკეტი რომლითაც შეძლებდა მის გარიცხვას. მან აღნიშნა, რომ სტუდენტს შეეძლო გაევლო რეგისტრაცია, თუმცა რომ შეხედავდა ვერ აბარებდა გამოცდებს, იჩერებდა სტატუსს, ან გადადიოდნენ სხვა უნივერსიტეტებში, ან გადიოდა 5 წლიანი ვადა და ირიცხებიოდნენ ჩვეულებრივად.

სხდომის თავმჯდომარე ჩაეკითხა შეეძლო, თუ არა სტუდენტს ესწავლა ქართული და გაეგრძელებინა სწავლა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აძლევდნენ მაგის შესაძლებლობასაც. ცალკე ქართულ ენაში მომზადების პროგრამის გარეთ ჰქონდათ ქართული ენის სასერტიფიკაციო პროგრამა, რომელიც აძლევდა საშუალებას გაიღრმავებინა სტუდენტს ენის კომპეტენცია. თუ ის შეძლებდა ქართულის სწავლას და მერე გახდებოდა სტუდენტი ეს სხვა საკითხი იყო. თუმცა, თუ გახდებოდა სტუდენტი, დაწესებულებას სხვა ბერკეტი არ ჰქონდა. გაივლიდნენ რეგისტრაციას, გახდებოდნენ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები, თუმცა, ვერ მიიღებდნენ შეფასებას.

ექსპერტი, ირმა მანჯავიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან გაიზიარა უნივერსიტეტის წარმომადგენლის პათოსი. მან ყურადღება გაამახვილა, რომ როგორც აღნიშნეს დასკვნაში, უნივერსიტეტმა გადადგა ნაბიჯები და განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები რომ შესრულებულიყო მოთხოვნები და დააკმაყოფილებულიყო ყველა სტანდარტი. მან ყურადღება გაამახვილა რამდენიმე საკითხზე, ქართული ენის სასერტიფიკაციო პროგრამას ჰქონდა პირობითი აკრედიტაცია მიღებული, რომელიც გადიოდა ოქტომბერში, ასევე ბევრი შეკითხვა გამოიწვია ამ პროგრმამ, ამიტომ მათ გამოითხოვეს ნაშრომები, თავიდან უპასუხეს რომ ესეთი ნაშრომები არ იყო, თუმცა შემდეგ როდესაც გამოითხოვეს სტუდენტთა რეესტრის მონაცემები დარეგისტრირებული იყო 3 სტუდენტი, რომელიც ჩაირიცხა 2020 წლის 2 ივნისს ბიზნესის ფაკულტეტზე, ჩაირიცხა 24 ივნისს ქართული ენის პროგრამაზე და 14 ივლისს ბიზნესის პროგრამაზე, და მოთხოვნაზე რომ ენახათ შესრულებული ნაშრომები არ იყო ხელმისაწვდომი, მათ მხოლოდ ნახეს ტესტის ნიმუშები. ასევე აღნიშნა, რომ ხშირ შემთხვევაში, უჭირდათ სტუდენტებთან კომუნიკაცია, დაკავშირებაც კი, ესაუბრებოდნენ ტელეფონით და იდენტიფიცირებაც კი ვერ ხდებოდა. რაც შეეხებოდა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით ნაწილობრივ შესრულებულ სტატუსს, დაწესებუება არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნავდა, რომ შედეგები იქნება შემოდგომის სემესტრის ბოლოს და ამ შემთხვევაში ერთ აზრზე იყვნენ რომ ამ შედეგების დანახვა ვერ მოხდებოდა ექსპერტთა ვიზიტის დროს, მონიტორინგი კი ფაქტობრივ გარემოებას ასახავდა. სილაბუსებთან დაკავშირებით, კი აღნიშნა რომ ეს იყო

მონიტორინგი უნდა შეეფასებინათ წინა რეკომენდაციების შესრულება, ზუსტად სიტყვა-სიტყვით და აქედან გამომდინარე შეზღუდულებიც კი იყვნენ.

ზვიად მურადაშვილმა ქართული ენის პროგრამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მას აქვს 6 თვიანი ვადა და ის უნდა განახლდეს რეკომენდაციების მიხედვით, რაც შეეხებოდა სტუდენტებს, ის რაოდენობა რაც რეესტრში ნახეს იმავე ბრძანებაში წერია, რომ ისინი 2020-2021 საწავლო წლებში იწყებენ სწავლას და აქტიური სტატუსის მქონე ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტები არ არიან.

ირმა მანჯავიძემ განაცხადა, რომ ექსპერტებმა მხოლოდ შევსებული ტესტი მოითხოვეს. ზვიად მურადაშვილმა უპასუხა, რომ არ აქვთ შევსებული ტესტი, რადგან ფიზიკურად არ ჰყავდათ სტუდენტი.

საბჭოს წევრმა დააზუსტა ჩასარიცხი გამოცდის ტესტზე ხომ არ იყო საუბარი. ზვიად მურადაშვილმა განმარტა, რომ ჩასარიცხი ტესტის ნიმუში აქვთ, თუმცა შევსებული ტესტი არ აქვთ რადგან წინა მონიტორინგის შემდეგ არავინ მიუღიათ აღნიშნულ პროგრამაზე. ის ბაშვები, რომლებიც სექტემბერში ჩაირიცხებიან უნდა ჩაუტარდეთ დონის განმსაზღვრელი ტესტი, მაგრამ ჯერ უნდა ჩაირიცხონ რომ შედგეს ჯგუფი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დააზუსტა, როგორ აღმოჩნდნენ ისინი ბაზაში.

დაწესებულების სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსმა, ზურაბ ლობჟანიძემ განაცხადა, რომ 50 სტუდენტზე, ანუ რამდენიც ქართული ენის მომზადების პროგრამაზე ნებადართული იყო, დაწესებულება ვალდებული იყო, რომ აღნიშნული სტუდენტები 5 დღის ვადაში აესახათ ბაზაში და მათ შიდა ბრძანებაში ერთ-ერთ პუნქტად ასახეს, რომ ეს სტუდენტები სწავლას დაიწყებდნენ 2020-2021 სასწავლო წელს, სექტემბრის ბოლოს, როდესაც გეგმავდნენ სასწავლო პროცესის დაწყებას. ამიტომ მოხვდნენ ეს სტუდენტები ბაზაში და რა თქმა უნდა, სანამ სემესტრს დაიწყებენ ექნებოდათ გამოცდა (ქართული ენის დონის განმსაზღვრელი ტესტი).

სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა, როდის იწყებდა დაწესებულება სასწავლო პროცესს. ზურაბ ლობჟანიძემ უპასუხა, რომ სასწავლო წლის დაწყება დაგეგმილი იყო პირველი ოქტომბრისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ დამაზუსტებელი კითხვები. საბჭოს წევრებს აღარ აღმოაჩნდათ კითხვები.

სხდომის თავჯდომარემ შეჯამების სახით, აღნიშნა რომ დაწესებულებამ და ექსპერტებმა ძალიან კარგად იმუშავეს ძალიან მოკლე ვადაში და ძალიან საინტერესო შედეგები დადეს, რაც ძალიან კარგი იყო.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 15:37 წუთზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 16:25 წუთზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს უმაღლესი სასწავლებელ მილენიუმში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 2

სხდომის თავმჯდომარემ დამატებითი განმარტებისათვის აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს იმ ორი წევრის პოზიცია, რომელთაც გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით დააფიქსირეს „წინააღმდეგი“, იყო, ის რომ დაწესებულებას ერთხელ უკვე მიეცა შესაძლებლობა გამოესწორებინა რეკომენდაციები, რაც ნამდვილად ასე იყო, თუმცა ეს მაინც სრულყოფილად ვერ შეძლო. ამასთან, საბჭო იმედს გამოთქვამდა, რომ დაწესებულება შეძლებდა ყველაფრის გამოსწორებას ავტორიზაციისათვის და სხდომის თავმჯდომარემ შეუმადგომლობით მიმართა ცენტრს, რომ როდესაც დაწესებულებაში განხორციელდებოდა ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შეფასება, ჯგუფს ასევე განსაკუთრებული ყურადღება გაემახვილებინა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებსა და მათ შესრულებაზე.

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილიგარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 88-ე მუხლის მე-14 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს უმაღლეს სასწავლებელ მილენიუმში (ს/კ:204379083) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 16:30 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
სხირტლაძე ნუგზარ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ